



სარაგაულის მუნიციპალიტეტის
პირველადი პრიორიტეტების დოკუმენტი

2023-2026 წლებში

25. 10. 2022 წწ

შესავალი

მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტს საფუძვლად დაედო საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების დოკუმენტი და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან 2022 წლის 14/07 N 04-03/64697 მიღებული წერილი 2023 საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრების შესახებ.

მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტში ასახულია ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ, მუნიციპალიტეტის შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2023-2026 წლებისთვის, 2021 წლის და მიმდინარე 2022 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულებს მონაცემები და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში.

დაგეგმილია მუნიციპალიტეტის კომპეტენციის სფეროში/დარგში/მიმართულებაში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება და სამოქალაქო ბიუჯეტის ელემენტები.

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი არის ერთ-ერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული იმერეთის მხარეში. იგი მდებარეობს საქართველოს გეოგრაფიულ ცენტრში, იმერეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. მუნიციპალიტეტის ფართობია 91,3 (ათასი)ჰა. მთლიანი ტერიტორიის 180 კვ.კმ უჭირავს დაბლობს, ხოლო 733, 9 კვ.კმ. – მთიან ადგილებს. მუნიციპალიტეტის ყველაზე მაღალი წერტილია მთა სამეცხვარიო 2642 მეტრი. მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ესაზღვრება ხაშურისა და საჩხერის, დასავლეთით ზესტაფონისა და ბაღდათის, ჩრდილოეთით ჭიათურისა და საჩხერის, სამხრეთით ბორჯომისა და ბაღდათის რაიონები.

მუნიციპალიტეტის მთავარი მდინარეა ძირულა. მას ბევრი მდინარე ერთვის, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვნი ჩხერიმელა, რომელსაც სათავე აქვს ლიხის ქედის დასავლეთ კალთაზე 1150მ. სიმაღლეზე. იგი მთლიანად მიეკუთვნება ხარაგაულის რაიონს და მისი ტერიტორიის 39კმ. კვეთს სათავიდან შესართავამდე. მდინარე ჩხერიმელის ხეობაში გაყვანილია რკინიგზის მაგისტრალის ერთ-ერთი რთული მონაკვეთი (წიფა_ძირულა).

მუნიციპალიტეტის ტერიტორია მთაგორიანია. მდიდარია მდინარეებით და ჰიდრო რესურსებით, ყველაზე გრძელი მდინარეა ძირულა. მთავარი ბუნებრივი სიმდიდრეა ტყე, რომელსაც უკავია მთელი ფართობის 2/3- ზე მეტი (68,2%).

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2018 წლის აღწერის მდგომარეობით შეადგენს 19.5 ათას ადამიანს. მოსახლეობის რიცხოვნება მამაკაცები 45% 9627 და ქალები 55 9846 %. ქალაქად ცხოვრობს 24%, ხოლო 76% - სოფლად. შრომისუნარიანი, ანუ 15-დან 65 წლამდე ასაკის მოსახლეობა შეადგენს 61%-ს. აქედან კაცი 53%-ია, ქალი - 47%. ემიგრაციაში მყოფი მოსახლეობა 1120 კაცი. 2014 წლის მონაცემებთან შედარებით მოსახლეობა 6.9-ითაა შემცირებული, ხოლო 2008 წელთან შედარებით დაახლოებით 30 % -ით არის შემცირებული. მუნიციპალიტეტში

რეგისტრირებულია 660 6 წლამდე ასაკის და 2 169 სკოლის ასაკისის მოზარდი. პენსიონერი, სოციალურად დაუცველი და 1212 მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრების სტატუსის მქონე პირი.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენს 1120. ბოლო წლების განმავლობაში კიდევ უფრო მზარდია მიგრაციის ტენდენცია, განსაკუთრებით ეს ეხება ახალგაზრდა, კვალიფიციურ და შრომისუნარიან მუშახელს, რომლებიც სამუშაოდ მიდიან საქართველოს ურბანულ დასახლებებში და უფრო განვითარებულ ქვეყნებში იქ არსებული მაღალი დასაქმების შესაძლებლობებისა და სათანადო ანაზღაურების გამო. კიდევ ერთი უარყოფითი ტენდენცია მოსახლეობის დაბერებას უკავშირდება. მუნიციპალიტეტში მოსახლეობის საშუალო ასაკი 43,9 წელს შეადგენს, აქედან მამაკაცის საშუალო ასაკი 41,5-ა, ხოლო ქალის 45,8.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკა ძირითადად წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, გადამამუშავებელი მრეწველობის, მომსახურების და ვაჭრობის სფეროებით.

სოფლის მეურნეობის დარგი წარმოდგენილია 21 მცირე საწარმოთი (დასაქმებულია 95) და 180 საოჯახო ფერმერთ, მათ შორის 97 მეფუტკრით. მეფუტკრეობა მოსახლეობისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მაღალ შემოსავლიანი დარგია და ხარაგაული მეფუტკრეობის მხრივ წამყვანი მუნიციპალიტეტია საქართველოში.

მუნიციპალიტეტს გააჩნია კარგი პოტენციალი ჰიდრო, ქარის და არატრადიციული ენერჯეტიკის განვითარების მხრივ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორია საკვანძო როლს ასრულებს საქართველოს სატრანსპორტო სისტემაში. ის აკავშირებს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს წიფის გვირაბითა (3910 მ.) და ხანდების გვირაბით (740 მ.). აქ გადის საქართველოს საავტომობილო მაგისტრალი ს1 და ხაშური-სამტრედიის რკინიგზის მონაკვეთი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში დღეის მონაცემებით ინფრასტრუქტურის მდგომარეობა ვერ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. 2019 წელს დაიწყო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთი გზის რეაბილიტაცია რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მიმდებარე სოფლებში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას და უმოკლესი გზით დააკავშირებს მუნიციპალიტეტს საქართველოს დედაქალაქთან. ასევე ბოლო ორი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის 65 სოფელში მოსაფალტბეტონდა 70 კმ. გზა. 2023 წლის მუნიციპალიტეტის სამოქმედო გეგმაში კვლავ პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. მუნიციპალიტეტის სოფლების უმრავლესობაში გაგრძელდება და შემდეგ წლებში დასრულდება საავტომობილო გზების კაპიტალური მოწყობა. დასრულების ფაზაშია დაბის წყალმომარაგების სისტემის მოწყობა განახლება. მიმდინარეობს დაბის ცენტრალური პარკისა და დევების სკვერის რეაბილიტაცია.

სამწუხაროდ საქართველოში არ არსებობს სტატისტიკა მთლიანი შიდა პროდუქტის დათვლისა მუნიციპალიტეტების მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ გვიხდება ნაკლებად ავლწეროთ

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური მდგომარეობა და პირდაპირ განვიხილავთ ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებს.

ბოლო წლების მონაცემები მეტყველებენ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების ყველაზე დიდი კომპონენტი არის ქონების გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები. 2019 წლიდან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ მუნიციპალიტეტების დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში გადადგმულმა ნაბიჯებმა (საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილება, რის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში რჩება დამატებული ღირებულების გადასახადის გაერკვეული ნაწილი) გაზარდა მუნიციპალიტეტის შემოსულობების მოცულობა. მიუხედავად შემოსულობების ზრდისა ხარაგაულის მუნიციპალიტეტი საჭიროებს საკმაო მოცულობის სახელმწიფო ბიუჯეტის დახმარებას კაპიტალური პროექტების განსახორციელებლად. მაგალითად 2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ მიზნით გამოყოფილიმა სახსრებმა მთლიანი ბიუჯეტის 48,5 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული კი მეტყველებს იმაზე, რომ მუნიციპალიტეტმა რომ განახორციელოს თავისი ინსტიტუციური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციები, დამოკიდებული არ არის მხოლოდ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ ზრდაზე, არამედ მთელი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე და მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილების წესზე. ეს გარემოება კი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს დამოკიდებულს ხდის მოზიდულ სახსრებსა და ცენტრალური ხელისუფლების მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებზე, რაც მუნიციპალიტეტის განვითარების გრძელვადიანი ფინანსური სტრატეგიის შემუშავებაში უმთავრეს რისკ ფაქტორს შეადგენს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2021 წლის მონაცემების მიხედვით			
დასახელება	მოსახლეობა	ფართობი (კვ. კმ)	გადასახდელები (ათას ლარებში)
სულ საქართველო	3728,6	69700	19 807 502.5
იმერეთის რეგიონი	481,5	6415	
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	19,5	913	20 003.2
პროცენტი საქართველოსთან	0,51%	1,3%	0,10
პროცენტი რეგიონთან	3,9 %	14,2 %	

თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2023-2026 წლებისთვის

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა 2023-2026 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრული მაკროეკონომიკური და ფისკალური მონაცემები. ასვე ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების შემოსულობების პროგნოზი საშუალოვადიან პერიოდში. დღგ-დან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დათვლილია საბიუჯეტო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრეგირებული მაჩვენებლები განისაზღვრა შემდეგნაირად:

ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
შემოსავლები	19,366.0	22,286.2	12,303.7	13,044.0	13,836.9	14,618.4
გადასახადები	9,189.0	9,800.0	10,608.7	11,294.0	12,036.9	12,813.4
გრანტები	9,141.6	11,454.1	170.0	170.0	170.0	170.0
სხვა შემოსავლები	1,035.4	1,032.1	1,525.0	1,580.0	1,630.0	1,635.0
ხარჯები	9,339.6	12,712.9	13,108.8	13,968.2	15,096.3	16,407.3
შრომის ანაზღაურება	1,607.9	2,675.4	3,218.3	3,397.6	3,737.3	4,111.0
საქონელი და მომსახურება	1,974.7	2,713.8	1,470.5	1,460.8	1,554.7	1,671.0
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	26.3	26.0	28.0	28.0	28.0	28.0
სუბსიდიები	4,246.0	5,574.2	6,576.2	7,217.1	7,889.1	8,677.3
გრანტები	29.8	33.9	35.1	37.4	39.9	42.7
სოციალური უზრუნველყოფა	930.2	1,184.8	1,148.0	1,349.0	1,379.0	1,409.0
სხვა ხარჯები	524.6	504.8	632.7	478.3	468.3	468.3
საოპერაციო საღდო	10,026.4	9,573.3	-805.1	-924.2	-1,259.4	-1,788.9
არაფინანსური აქტივების ცვლილება	10,303.302	12,944.0	589.9	616.6	668.6	728.6
ზრდა	10,385.3	12,989.0	639.9	696.6	748.6	808.6
კლება	82.0	45.0	50.0	80.0	80.0	80.0
მთლიანი საღდო	-276.9	-3,370.7	-1,395.0	-1,540.8	-1,928.0	-2,517.5
ფინანსური აქტივების ცვლილება	-327.9	-3,422.7	-1,447.0	-1,592.8	-1,980.0	-2,569.5
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	327.9	3,422.7	1,447.047	1,592.8	1,980.0	2,569.5
ვალდებულებების ცვლილება	-50.9	-52.0	-52.0	-52.0	-52.0	-52.0
კლება	50.9	52.0	52.0	52.0	52.0	52.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ბალანსი	0.000	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

2.2 გასული 2021 წლის და მიმდინარე 2022 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულება

2021 წელი - ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება, ფინანსური აქტივების კლება, ვალდებულებების ზრდა) და ნაშთი ცვლილების გეგმა განისაზღვრა 22 113,1 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 20 003,2 ათასი ლარი, ანუ გეგმის 90,5 %-ი.

ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა 18 229,5 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 19 448,0 ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდში 1 218,5 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რამაც გეგმის 106,7% შეადგინა. მათ შორის:

ბიუჯეტის შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) სახით მობილიზებულია 19 366,0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (18 169,5 ათასი ლარი) 106,6% და მთლიანი - შემოსულობების 106,7% შეადგინა. მათ შორის:

გადასახადების სახით მობილიზებულია 9 189,0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 7 636,2 ათასი ლარის 120,3 %-ია. წინა წელთან შედარებით (ფაქტი – 7 047,1 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 923,4 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული. რაც მთლიანად განპირობებულია უცხოურ საწარმოთა ქონების გადასახადიდან მიღებული შემოსავლებით. სულ ქონების გადასახადიდან მიღებულია 3 008,7 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადი - 327,8 ათასი ლარი, უცხოურ საწარმოთა ქონების გადასახადი 1 911,7 ათასი ლარი, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი - 752,6 ათასი ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი - 10,8 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი - 5,9 ათასი ლარი, ათასი ლარი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა 2021 წელს მიიღო 6 180,3 ათასი ლარის დამატებითი ღირებულების გადასახადი დაგეგმილზე 144,1 ათასი ლარით მეტი.

გრანტების სახით მიღებულია 9 141,6 ათასი ლარი, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად –694,1 ათასი ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით მიღებულია - 5 261,9 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერის სახით - 1 168,5 ათასი ლარი, სოფლის მხარდამჭერი პროგრამით 890,0 ათასი ლარი, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 1 127,0 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 1035,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 1313,0 ათასი ლარის 78,9%-ია.

ათასი ლარი

დასახელება	2021 წელი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	18169,5	19366,0	1 196,5	106,6
გადასახადები	7636,2	9189,0	1 552,8	120,3
გრანტები	9 220,3	9141,6	- 78,7	99,1
სხვა შემოსავლები	1313,0	1035,4	- 277,6	78,9

არაფინანსური აქტივების კლებიდან 2021 წელს მობილიზებული იქნა 82,0 ათასი ლარის შემოსავალი, რაც გეგმის (60,0 ათასი ლარის) 136,7 %-ია. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 55,4 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან - 26,6 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხების წილი შემოსულობებში 0.8% შეადგენს.

2021 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 3 994,7 ათასი ლარი, ხოლო 2021 წლის ბოლოსათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 3 439,5 ათასი ლარი, რომელიც შემდგომ მთლიანად იქნა გადანაწილებული 2022 წლის შესაბამის გადასახდელებში, ასევე ახალ ვალდებულებებში.

2021 წელს **გადასახდელების** საკასო შესრულების მაღალი - 90,5 %-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების განხილვა						
დასახელება	2021 წელი ფაქტი		2022 წელი გეგმა		2023 წელი პროექტი	
	ათას ლარებში	ერთ სულ მოსახლეზე (ლარი)	ათას ლარებში	ერთ სულ მოსახლეზე (ლარი)	ათას ლარებში	ერთ სულ მოსახლეზე (ლარი)
შრომის ანაზღაურება	1 909.4	99	3265.9	169	3975.8	205
სხვა მიმდინარე ხარჯები	7709.0	398	8 499.9	439	9 065.5	468
კაპიტალური ხარჯები	10385,3	532,6	12 989.0	511,9	759.9	18,9
გადასახდელები სულ ხარაგაული	20 003,3	1025,8	25 753.9	1141,6	13 800.7	605
გადასახდელები სულ საქართველო	19,807,502,5	5370	19,678,671,0	5335	21,153,971,8	5735
შემოსავლები საკუთარი წყაროდან	10 001,7	516	10877,1	561	12183,7	628
გრანტები (ტრანსფერები)	9446,2	487,0	11454,1	591	170,0	9
სულ ხარაგაულის შემოსავლები	19448.0	1003	22331.2	1151	12353.7	637
სულ შემოსავლები საქართველო	18,377,644,3	4928	19,852,348,0	5382	21,302,000,0	5775

შენიშვნა: საქართველოს მოსახლეობა 3 688 600 კაცი;
 ხარაგაულის მოსახლეობა 19400- კაცი.

ანალიზი ცხადყოფს, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში როგორც შემოსავლები, ასევე გადასახდელები ყოველწლიურად იზრდება ერთ სულ მოსახლეზე და 2023 წლის პროგნოზით შემოსავალი შეადგენს შესაბამისად 637 ლარს და გადასახდელები 605 ლარს, და საგრძნობლად ჩამორჩება საშუალო საქართველოში არსებულ სახელმწიფო ბიუჯეტის მონაცემებს, ერთ ერთი მიზეზი ამ ჩამორჩენის არის 2023 წლის ბიუჯეტის პარამეტრებში ამ ეტაპზე არ არის ასახული მიზნობრივი გრანტის გარდა გრანტები სხვადასხვა ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად მიიმართა:

- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება – 2427,5 ათასი ლარი;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობა –10 718,3ათასი ლარი;
- ✓ გარემოს დაცვა – 1 130,0 ათასი ლარი;
- ✓ საბინაო-კომუნალური მეურნეობა – 626,1 ათასი ლარი;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა –160,2 ათასი ლარი;
- ✓ დასვენება, კულტურა და რელიგია – 1 299,9 ათასი ლარი;
- ✓ განათლება –2 441,7 ათასი ლარი;
- ✓ სოციალური დაცვა – 1 199,5 ათასი ლარი.

ხარაგაული მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტების ხარჯების სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში (ათას ლარებში)		
დასახელება	2021 წელი	
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 427,5	12,1
ეკონომიკური საქმიანობა	10 718,3	53,6
გარემოს დაცვა	1 130,0	5,6
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	626,1	3,1
ჯანმრთელობის დაცვა	160,2	0,8
დასვენება, კულტურა და რელიგია	1 299,9	6,5
განათლება	2 441,7	12,2
სოციალური დაცვა	1 199,5	6,0
სულ	20 003,2	100

ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის მთავარ პრიორიტეტს ინფრასტრუქტურის განვითარება წარმოადგენს, 2021 წელს აღნიშნულ პრიორიტეტზე გათვალისწინებული იყო 12 878,9 ათასი ლარის დახარჯვა, ფაქტიურად დახარჯულია 11 344,4 ათასი ლარი, გეგმა შესრულებულია 88,1 %-ით და წინა 2020 წელთან შედარებით 2 729,8 ათასი ლარით მეტი იქნა დახარჯული. ინფრასტრუქტურის პრიორიტეტიდან ყველაზე მეტი 9 658,8 ათასი ლარი მიმართულია „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციაზე ამ პროგრამის დაფინანსების შედეგად ხარაგაულის მუნიციპალიტეტში გაიზარდა მოასფალტებული და გასწორხაზოვნებული შიდა გზების რაოდენობა, რეაბილიტირებული ხიდები და ხიდბოგირები, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობა და შეიქმნა შედარებით უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილების შესაძლებლობა.

წყლის სისტემის რეაბილიტაცია ექსპლუატაციაზე ფაქტიურად გადარიცხულია 121,882 ათ. ლარი, აქედან სახ. ფონდების ხარჯზე 5,7 ათასი ლარი და საკ. სახსრებიდან 116,2 ათასი ლარი, მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის პროგრამა კვლავ აქტუალურია და მომდევნო წლებში აქტიურად მოხდება აღნიშნული პროგრამის განხორციელება, რომ მუნიციპალიტეტის მოსახლეობას წყალი მიეწოდოს 24 საათიანი გარფიკით.

გარე განათების ქსელის ექსპლუატაციაზე - დახარჯულია 227,4 ათ. ლარი, აქედან ელექტროენერჯის საფასურის დასაფარავად 107,8 ათ. ლარი.

მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციაზე დაგეგმილი 289,470 ათასი ლარიდან აღებულია ვალდებულება 271,851 ათას ლარზე და გადარიცხულია 260,996 ათასი ლარი, აღნიშნული პროგრამით მოხდა სოფელ დიდვაკის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კიბის უჯრედებისა და აივნების რეაბილიტაცია. დაბაში წერეთლის ქუჩაზე მდებარე N 17 საცხოვრებელი სახლის სახურავის შეკეთება და ეზოს შემოღობვა. ასევე გადარიცხა საზედამხედველო სამუშაოების შესრულების თანხა.

„კეთილმოწყობაზე დაგეგმილი 18,867 ათასი ლარიდან აღებულია მხოლოდ საკუთარი სახსრებიდან ვალდებულება სრულად და ასევე სრულად არის გადარიცხული დევების სკვერის პროექტის შეძენაზე .

სოფლის მხარდამჭერი პროგრამით 1 060,489 ათასი ლარი იქნა დახარჯული. გასულ 2021 წელს მერიის მიერ დაინერგა პრაქტიკა სოფლის მხარდამჭერ პროგრამაში მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით მონაწილეობის წილის გაზრდაზე, რამაც დაახლოებით 20% -ი შეადგინა და რამაც უფრო ეფექტური გახადა სოფლის მხარდამჭერი პროგრამით განხორციელებული პროგრამების შედეგები. საკუთარი სახსრებით დაგეგმილი 222,2 ათასი ლარიდან დავალდებულებული იქნა 207.0 ათასი ლარი და ფაქტიურად გაწეულია 203,0 ათასი ლარის სამუშაოები.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობასა და სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა. სოციალურ პროგრამებზე მუნიციპალიტეტმა დაგეგმილი 1 222,6 ათასი ლარიდან 1 199,6 ათასი ლარი აითვისა, 98,1 % და 2020 წელთან შედარებით 195,8 ათასი ლარით მეტი მოხმარდა.

მერიის მიერ განხორციელებული პროგრამებია:

სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა, რომელიც მოიცავს კვლევების, ოპერაციების, სამედიცინო მომსახურების და ზოგიერთი ქრონიკული დაავადების მედიკამენტების დაფინანსებას. სანგარიშგებო წელს ქვეპროგრამის წლიურმა გეგმამ შეადგენდა 439,7 ათასი ლარი, ანგარიშსწორება მოხდა 437,6 ათ. ლარზე და ისარგებლა 841 ბენეფიციარმა, აქედან 9,681 ლარი სარეზერვო ფონდიდან იქნა გაწეული. 2020 წელთან შედარებით დაიხარჯა 45,9 ათ. ლარით მეტი.

შშმ პირთა დახმარება, რომელიც მოიცავს 0-18 წლამდე ასაკის შშმ პირთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო კურსის და მედიკამენტების დაფინანსებას, ასევე, შშმ პირის, რომელიც საჭიროებს მომვლელს, ყოველთვიურ დახმარებას. ქვეპროგრამის წლიური გეგმა განისაზღვრა 37,0 ათ. ლარი და დახარჯულია 35,4 ათასი ლარი. ისარგებლა 65 ბენეფიციარმა.

ერთჯერადი ფინანსური დახმარება, ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 231,7 ათასი ლარით და ათვისებულია სრულად, სარეზერვო ფონდიდან ამ ქვეპროგრამაზე 5,6 ლარი გაიცა. ფულადი დახმარებით ისარგებლა 1292 ბენეფიციარმა. ქვეყანაში არსებული ეპიდვითარების ფონზე განუწყვეტლივ მიმდინარეობდა სხვადასხვა სახის დახმარების გაცემა მოქალაქეებზე, ქვეპროგრამით სხვადასხვა ეტაპზე სურსათით დახმარება გაეწია 1200-მდე ოჯახს.

ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება განისაზღვრა 25,4 ათასი ლარით და ათვისებულია სრულად. ლეიკემიით დაავადებულთა დახმარება წლიურად განსაზღვრულია 600 ლარით. მოსარგებლეა 3 ბენეფიციარი, ხოლო დიალიზის პროგრამაში ჩართული იყო 13 მოქალაქე, რომელთაც ყოველთვიურად გაეწიათ 150 ლარიანი დახმარება. გასულ წელთან შედარებით ოდნავ შემცირდა დახმარება რამდენიმე ბენეფიციარის გარდაცვალების გამო.

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება, რომლის მოსარგებლეა 4 და მეტი შვილიანი ოჯახი. დახმარება შეადგენდა თითოეულ ბავშვზე 50 ლარს. ქვეპროგრამით ისარგებლა 47 ოჯახმა, დახარჯულია 10,7 ათ. ლარი. მარტოხელა მშობლების დახმარება. ბიუჯეტი განისაზღვრა 2,2 ათ. ლარით, დახარჯულია სრულად და ისარგებლა 11 ბენეფიციარმა. დღევანდელი კანონმდებლობიდან გამომდინარე ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სტატუსის მიღება გართულებულია, სავარაუდოდ მუნიციპალიტეტში გაცილებით მეტი მარტოხელა მშობელი ცხოვრობს.

მარჩენალდაკარგულთა დახმარება. დახმარების მიმღებია 21 წლამდე ასაკის დედით ან მამით ობოლი ბავშვები, რომელთაც მუნიციპალიტეტიდან ეძლევათ ერთჯერადად ფინანსური დახმარება 100 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამით ისარგებლა 20 ბენეფიციარმა და დახარჯულია 4,4 ათ. ლარი.

ყოველთვიური დახმარების პროგრამის ბენეფიციარები არიან სამამულო ომის ვეტერანები, უსინათლოები და დევნილები. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 36,0 ათ. ლარს, რომელიც სრულად იქნა ათვისებული. და სარგებლობს 97 მოქალაქე.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება. დახმარების მიმღებია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულის ოჯახის წევრი, რომელსაც პირველი რიგის მემკვიდრე არ ყავს და რომელზეც არ ვრცელდება „ომისა და სამხედრო ძალების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის კრიტერიუმები. დახმარება განისაზღვრება 2000 ლარით, მოსარგებლეა 4 ბენეფიციარი და კიდევ დახმარება გაეწია 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ მეომრის ერთ ოჯახს 500 ლარით. საანგარიშგებო წელს გაიცა 8,5 ათასი ლარი. ხანდაზმულთა დახმარება. დახმარების მიმღებია 100 წელს გადაცილებული მოქალაქე. მუნიციპალიტეტში გვყავს 3 ბენეფიციარი. დახმარება განისაზღვრება 500 ლარით. შესაბამისად, დახარჯულია 1,5 ათ. ლარი. სადღესასწაულო დღეების დახმარება, რომელიც მოიცავს სადღესასწაულო დღეებში მოწყვლადი ჯგუფების დახმარებას. აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით 407 უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახს გაეწია დახმარება, გარდა ამისა სხვადასხვა სხვადასხვა სადღესასწაულო თარიღთან დაკავშირებით დახმარება გაიცა შესაბამისი კატეგორიის 22 ბენეფიციარზე. გეგმით გათვალისწინებული 54,0 ათ. ლარიდან დაიხარჯა 52,8 ათ. ლარი. სოციალურად დაუცველი ან უპატრონო გარდაცვლილის ოჯახის დახმარება; დახმარება მიეცემა 65 000 ქულამდე სოც. დაუცველ ან უპატრონო მიცვალებულის ოჯახს. ამ მიმართულებით დახარჯულია 10,8 ათ. ლარი და ისარგებლა 53 ოჯახმა. უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების სათბობო მასალით (შეშა) დახმარების პროგრამა, პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია დაბაში და სოფლად მცხოვრებ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს სათბობი მასალით. პროგრამა გარდამავალია მოიცავს 2021 -2022 წლების ზამთრის სეზონს. 2021 წლის ბოლოს დაიხარჯა 9,975 ათასი ლარი და ისარგებლა 70 ბენეფიციარმა. დახმარება გაგრძელდა 2022 წელსაც და ჯამში სეზონზე

შესაბამისად დაიხარჯება 30,0 ათასი ლარი. ახალშობილთა ოჯახების დახმარება. პირველი ბავშვის შეძენისას ოჯახისათვის გაწეული დახმარება შეადგენს 100 ლარს, მეორე ბავშვის შეძენის შემთხვევაში_150 ლარს, მესამე_200 ლარს, მეოთხე_250 ლარს, მეხუთე_300 ლარს და ყოველი მომდევნო ბავშვის შეძენისას თანხა იზრდება 50 ლარით. ტყუპების შეძენის შემთხვევაში თანხა განისაზღვრება 500 ლარით. სამი და მეტი ტყუპის შეძენის შემთხვევაში დახმარება განისაზღვრება 1500 ლარით. წლის განმავლობაში 115 ახალშობილის ოჯახზე გაწეული დახმარება შეადგენს 20,0 ათ. ლარს. სამწუხაროდ ბოლო წლების მონაცემებით იკლო დახმარების მიმღებთა რაოდენობამ.

ომის ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვა დაკრძალვის ხარჯი შეადგენს 250 ლარს და ამ მიმართულებით დახარჯულია 1,0 თ. ლარი. გარდაცვლილია ოთხი ბენეფიციარი. მ. შ. ერთი დევნილი. სტიქიური მოვლენების, ხანძრის შედეგად დაზარალებულთა და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა მატერიალური დახმარება მოიცავს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა დახმარებას და უსახლკარო პირთა და ძალადობის მსხვერპლთა მინიმალური საცხოვრებელი უზრუნველყოფას. 2021 წელს ბინის ქირით უზრუნველყოფით 5 მოქალაქეს, თვეში საშ. 150 ლარის ოდენობით. ამ მიმართულებით დახარჯულია 6,1 ათ. ლარი. ხოლო სტიქიის შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე 152 ოჯახზე გაწეული დახმარება შეადგენს 156,7 თ. ლარს, მ. შ. სარეზერვო ფონდიდან 28,0 ათ. ლარი. ჯამში ქვეპროგრამით დახარჯულია 162,880 ათ. ლარი. უფასო სასაბუღალტრო დაფინანსება გეგმა შეადგენდა 129,0 ათ. ლარს. გაწეულია 128,7 ათ. ლარის ხარჯები. პროგრამის მიზანია უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მრავალშვილიანი ოჯახების საკვებ პროდუქტებზე ხელმისაწვდომობა, შიმშილის ნაწილობრივ ან სრულად აღმოფხვრა. სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა. გეგმა - 5,0 ათ. ლარი. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2020 წელს ევროკავშირის დაფინანსებით დაიწყო ბავშვთა ადრეული განვითარების მომსახურების დანერგვა. ამ მიზნით გაფორმდა სამმხრივი მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 8 პედაგოგი, მომზადდა ადაპტირებული გარემო ჯგუფური მეცადინეობებისათვის. პროექტის მიხედვით 2021 წ. მუნიციპალიტეტმა შეძლო ჯგუფური თერაპიის სერვისის და მეტყველების თერაპევტის მომსახურების ღირებულების დაფინანსება, რომლის მიზანია ბავშვთა ადრეული განვითარების სერვისის დანერგვა და მოწყვლადი კატეგორიის ბავშვების ამ სერვისზე გეოგრაფიული წვდომა, პროგრამას ახორციელებს სოციალური განვითარების ცენტრი „თაირისი“, რომელზეც 2021 წელს გაიცა 3,0 ათასი ლარის სუბსიდია. ქვეპროგრამით მოსარგებლეა მუნიციპალიტეტში მცხოვრები 30 ბავშვი. გადაუდებელი რეაგირების პროგრამა, რომლის მიზანია კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების გადაუდებელი პირველადი მხარდაჭერა, რომლის მეშვეობითაც ოჯახმა კრიზისი უნდა დაძლიოს მოკლე დროში. ამ პროგრამით დაგეგმილი 10,0 ათასი ლარიდან ათვისებულია 5,0 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა 2 ბენეფიციარის დაფინანსებას.

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარების პროგრამა ქვეპროგრამის მოსარგებლეა ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, რომელსაც ესაჭიროება დახმარება და მოკლებულია შესაძლებლობას, ისარგებლოს სხვა მუნიციპალური პროგრამით. დახმარება განისაზღვრება

ერთჯერადად არაუმეტეს 500 ლარისა. ამ პროგრამაზე დახარჯულია 12,1 ათასი ლარი და ისარგებლა 50 ბენეფიციარმა.

დასუფთავება და ნარჩენების გატანაზე მუნიციპალიტეტმა 2021 წელს დაგეგმილი 1 166,0 ათ. ლარიდან დახარჯა 1 130,0 ათასი ლარი და დაფინანსებულია 96,9 %-ით, ხოლო გასულ წელთან შედარებით ამ პრიორიტეტზე 182,1 ათასი ლარით მეტი დაიხარჯა. დაფინანსება პრიორიტეტში შემავალ სამივე პროგრამაზე არის გაზრდილი. გაწეული ხარჯებიდან უშუალოდ ნარჩენების გატანაზე დახარჯულია 941,0 ათ. ლარი, მწვანე ნარგავების მოვლაზე 178,7 ათასი ლარი და უპატრონო ცხოველების მოვლაზე 10,3 ათასი ლარი. აღნიშნულ პრიორიტეტზე პროგრამების განმახორციელებელი არის ა(ა)იპ ხარაგაულდასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება.

განათლებაზე 2021 წელს მუნიციპალიტეტმა გათვალისწინებული 2 543,6 ათასი ლარიდან დახარჯა 2 441,7 ათასი ლარი, 96%. აღნიშნული პროგრამის შედეგია მუნიციპალიტეტში მცხოვრები სასკოლო ასაკისა და სკოლის ასაკის ბავშვთა განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, საბავშვო ბაღის აღსაზრდელთათვის დადგენილი სტანდარტებით კვებაზე და განათლებაზე ხელმისაწვდომობა. სკოლის მოსწავლეთათვის ტრანსპორტით უზრუნველყოფა, მოწესრიგებული სასკოლო ინფრასტრუქტურა. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამით მუნიციპალიტეტში სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანებამ 2021 წელში გასწია 1 531,2 ათასი ლარის ხარჯი, აქედან არაფინანსური აქტივების ზრდაზე 53,1 ათ. ლარი, ამასთან მუნიციპალიტეტმა საკუთარი სახსრებით ბაღების რეაბილიტაციაზე დახარჯა 14,6 ათ. ლარი, სოფელ ხუნევის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისათვის საჭირო პროექტის შესაძენად, რომელსაც 2022 წელს ახორციელებს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

მუნიციპალიტეტმა სსიპ ბორის საჯარო სკოლის სუბსიდირებაზე დახარჯა 84,0 ათასი ლარი.

სკოლების რეაბილიტაციაზე გაწეულია 163,9 ათასი ლარი,

საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებაზე საქ. მთავრობის N 13 და 27 განკარგულებების ნაშთებიდან გაწეულია 42,174 ათასი ლარი, ხოლო საქ. მთავრობის 2021 წლის 04.02. N 147 განკარგულებით 492,919 ათასი ლარი, აღსანიშნავია, რომ 2020 წლის მაჩვენებლებთან შედარებით მოსწავლეთა ტრანსპორტირების თანხა გაიზარდა 130,6 ათასი ლარით. ამ პროგრამით სარგებლობს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 900 მოსწავლე, რომელსაც მომსახურებას უწევს 60 მიკრო ავტობუსი.

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სუბსიდირებაზე დახარჯულია 11,5 ათასი ლარი და 100% არის დაფინანსებული.

კულტურა, რელიგია, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებზე

დაგეგმილი 1338,6 ათასი ლარიდან დახარჯულია 1299,9 ათასი ლარი, ამ პროგრამის განხორციელების შედეგად მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობამ მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა კულტურულ და სპორტულ აქტივობებში. პანდემიის მიუხედავად მოხერხდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ჩატარება, მათ შორის ჩემპიონატები და ტურნირები სპორტის სხვადასხვა სახეობებში, გაიზარდა ქორეოგრაფიულ, მუსიკალურ, ფოლკლორულ და საესტრადო წრეებზე ჩართული ბავშვებისა და მოზარდების რაოდენობა, თუმცა პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვების გამო 2021 წელს აღნიშნული აქტივობების სრულყოფილად ჩატარება მაინც ვერ მოხერხდა.

2022 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის მაჩვენებლები

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრებოდა 10 318,1 ათასი ლარი, განვლილ ცხრა თვეში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2022 წლის წლიური შემოსულობები გაიზარდა 11 571,1 ათასი ლარით, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრები გაიზარდა 10 867,0 ათასი ლარით და საკუთარი შემოსავლების გეგმები გაიზარდა 714,0 ათ. ლარით, მ.შ. საწარმოთა ქონების გადასახადი გაიზარდა 325,0 ათასი ლარით, დღგ-დან მისაღები გადასახადები 516,9 ათ. ლარით, და დაზუსტდა(შემცირდა) საგზაო ჯარიმებიდან მისაღები შემოსავლების გეგმა 127,9 ათას ლარით.

დღეის მდგომარეობით 2022 წლის წლიური ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა შეადგენს 21 899,1 ათასი ლარს (დან. N 1) ხოლო მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბრის თვის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 17 019,5 ათასი ლარით, ფაქტიურად მუნიციპალიტეტმა განვლილ ცხრა თვეში მიიღო სულ 14 924, ათასი ლარის შემოსულობები, ე.ი. მთლიანი შემოსულობების გეგმა შესრულებულია 87,7 %-ით, ხოლო მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობების გეგმა შესრულებულია 103.3 %-ით და დაგეგმილი 7 523,7 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია 7 769,7 ათასი ლარი. ამასთან, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მუნიციპალიტეტმა მიიღო 2 060,9 ათასი ლარით მეტი შემოსულობები. (2021 წლის ცხრა თვეში მიღებული გვექონდა 12 863, 9 ათასი ლარის შემოსულობები.) ფაქტიური შემოსულობების მატება წინა წელთან შედარებით გამოწვეულია როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ასევე საკუთარი შემოსულობების გაზრდით.

გადასახადებში მუნიციპალიტეტს საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი 6 868.1 ათასი ლარიდან მიღებული აქვს 7 243.7 ათასი ლარი, 375.6 ათასი ლარით მეტი.

მათ შორის საწარმოთა ქონების გადასახადი 797.3 ათასი ლარი, უცხოურ საწარმოთა ქონება 900,5 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონება 1,1 ათასი ლარი, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 2,7 ათასი ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 4,2 ათასი ლარი, ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადი მიღებული გვაქვს 5 538.0 ათასი ლარი, გადასახადების გეგმა შესრულებულია 99,9 %-ით;

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერები ცხრა თვეში დაგეგმილი იყო 9 495.8 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებულმა ტრანსფერმა შეადგინა 7155,1 ათასი ლარი. დაგეგმილის 75,3%. მ. შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებულია 3 273,9 ათასი

ლარი; სოფლის მხარდამჭერი პროგრამიდან 830,0 ათასი ლარი; მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 481,5 ათასი ლარი; სპეციალური ტრანსფერი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ 551,7 ათასი ლარი და საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების ფონდი 1 301,9 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების ცხრა თვის გეგმა განისაზღვრა 625,6 ათასი ლარით, ფაქტიურად კი მიღებულია 570,6 ათასი ლარის სხვა შემოსავლები და გეგმა შესრულებულია 91,2 %, აქედან, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი დაგეგმილი 35,0 ათასი ლარიდან მიღებულია 60,1 ათასი ლარი; შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან დაგეგმილი 13,0 ათასი ლარის ნაცვლად 16,7 ათასი ლარი. სანებართვო მოსაკრებელი 18,0 ათასი ლარის ნაცვლად 3,5 ათასი ლარი; დასუფთავების მოსაკრებელი 37,5 ათასი ლარის ნაცვლად 48,0 ათასი ლარი. ჯარიმები, სანქციები და საურავებიდან მისაღები შემოსავლების ცხრა თვეში დაგეგმილი 522,1 ათასი ლარის ნაცვლად 385,1 ათასი ლარია მიღებული. მიუხედავად გეგმის შესრულებლობისა ჯარიმების ოდენობა გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 77,4 ათასი ლარით (2021 წლის ცხრა თვეში ჯარიმები მიღებული გვქონდა 307,7 ათასი ლარი) .

არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულობები ცხრა თვეში დაგეგმილი 30,0 ათასი ლარის ნაცვლად შემოსულია 10,4 ათასი.

2022 წლის პირველი იანვრისათვისათვის არსებული საბიუჯეტო სახსრების 3 422. 7 ათასი ლარის ნაშთი უკვე მთლიანად გადანაწილებულია მიმდინარე წლის გადასახდელების დაფასავარავად მ.შ. 1 281.9 ათასი ლარი სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრებით და 2 140, 8 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის დამტიცებული ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში განისაზღვრებოდა 11 797.0 ათ. ლარი, ბიუჯეტის დამტიცების დროს ხარჯების დასაფინანსებლად უკვე გამოყენებული იყო საკუთარი სახსრების ნაშთიდან 1 478,9 ათასი ლარი. წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების გათვალისწინებით დაზუსტებული ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში განსაზღვრულია 25 321.8 ათასი ლარით და გადასახდელების გეგმა გაიზრდილია 13 524.8 ათასი ლარით. მიმდინარე წლის ცხრა თვის ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში შეადგენს 20 442.3 ათასი ლარს, ფაქტიურად გაწეულია 15 941.7 ათასი ლარი და გადასახდელები დაფინანსებულია 78.0 %-ით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2022 წლის ცხრა თვეში ფაქტიური გადასახდელები გაზრდილია 1 992.9 ათასი ლარით, გასული წლის ცხრა თვეში მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული იყო 13 948.8 ათასი ლარის ხარჯი.

1.მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები დაფინანსებულია 88.8 %-ით. მ.შ. მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესანახ ხარჯებზე დაგეგმილი 852.5 ათასი ლარიდან გაწეულია 729.6 ათასი ლარი და დაფინანსებულია 85.6 პროცენტით; მუნიციპალიტეტის მერიის შესანახი ხარჯები დაგეგმილი 2363.8 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 2121.9 ათასი ლარი და დაფინანსებულია 89.8 პროცენტით; სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ დაგეგმილი 94.3 ათასი ლარიდან დახარჯულია 83.0 ათასი ლარი, მ.შ. 49.5 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერით და 33.5 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით.

კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი დაგეგმილი 8.8 ათ. ლარიდან ათვისებულია 8.5 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან მერის ბრძანებით გამოყოფილია 51 329 ლარი, მ. შ. 28 329 ლარი მიმართული სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარებაზე 5.0 ათასი ლარი მიმართულია ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე 18.0 ათასი ლარი მიმართულია სტიქიის შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარებაზე .

ვალდებულებების მომსახურებაზე მუნიციპალიტეტმა მუნიციპალური განვითარების ფონდს გადაურიცხა კუთვნილი სავადო გადასახდელი 38,8 ათასი ლარი, აქედან 25,5 ათასი ლარი სესხის და 13.3 ათასი ლარი პროცენტის სახით.

2. ინფრასტრუქტურის განვითარება 2022 წლის ცხრა თვის შედეგების მიხედვით დაგეგმილი 10 367.5 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 6761.1 ათასი ლარით, 65.2 %-თ, აქედან: გზების კაპიტალურ შეკეთებაზე მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი 7 275,7 ათასი ლარიდან ვალდებულება აღებულია 5 882,1 ათას ლარზე და ფაქტიურად გადარიცხულია 4 938,4 ათასი ლარი, აქედან 4 819.1 ათასი ლარი სახ. ფონდებით და 119.3 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით. საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით აღებულია 223,5 ათ. ლარის ვალდებულება და გადარიცხულია 119,3 ათასი ლარი. მ. შ. საქართველოს მთავრობის 2022 წლის N 75 განკარგულებით შესასრულებელ სამუშაოზე გაფორმებულია 5 072,8 ათასი ლარის ხელშეკრულებები, აქედან 486,2 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრების მონაწილეობით. ფაქტიურად ცხრა თვეში აღნიშნული განკარგულებით ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით გაწეულია 3 119,6 ათასი ლარი. (დან. N 3)

გზების მიმდინარე შეკეთებაზე დაგეგმილი 79,7 ათასი ლარიდან დახარჯულია 39,8 ათასი ლარი. ხიდების, ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაციაზე დაგეგმილი 328,9 ათასი ლარიდან ცხრა თვეში აღებულია 212,1 ათასი ლარის ვალდებულებები და გადარიცხულია 57,6 ათასი ლარი;

მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად დაგეგმილი 32,1 და ფაქტიურად გადარიცხულია 25,7 ათასი ლარი.

წყლის სისტემის განვითარებაზე ცხრა თვეში დაგეგმილი 38,7 ათასი ლარიდან ფაქტიურად გაწეულია 10,4 ათასი ლარი, მათ შორის უშუალოდ წყლის სისტემის მოსაწესრიგებლად საკუთარი სახსრებით დაგეგმილი 15,5 ათასი ლარიდან გაწეულია 10,4 ათასი ლარის საკასო ხარჯი.

გარე განათების სუბსიდირებაზე დაგეგმილი 211,3 ათასი ლარიდან დახარჯულია 197,9 ათასი ლარი, 93,9 %. მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციაზე დაგეგმილი 32,9 ათასი ლარის სახ. ფონდების სახსრებიდან გადარიცხულია 25,8 ათ. ლარი, რომელიც მთლიანად მოხმარდა სოფელ დიდვაკეში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის, კიბის უჯრედებისა და აივნების რეაბილიტაციას. ხოლო საბიუჯეტო სახსრებით აღებულია 7,1 ათასი ლარის ვალდებულება და გადარიცხულია 6,8 ათასი ლარი,

კეთილმოწყობაზე დაგეგმილი 1 152,4 ათასი ლარიდან ფაქტიურად გახარჯულია 544,1 ათასი ლარი. ამ ქვეპროგრამით საპილოტე რეგიონების განვითარების ფონდიდან რეაბილიტაცია გაუკეთდა სოფელ ხუნევის საბავშვო ბაღს 582,1 ათასი ლარით, ტანადაფინანსებით მუნიციპალიტეტმა გაწია 5,6 ათასი ლარი. ამაჟამად მიმდინარეობს დაბაში კულტურისა და დასვენების პარკის რეკონსტრუქცია, ამ ეტაპზე მასზე გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 358,2 ათას ლარს და დევების ქანდაკებების და მიმდებარე სკვერის რეკონსტრუქცია რაზედაც ცხრა თვეში გაწეულია 129,5 ათასი ლარი. სულ საპილოტე პროგრამებზე თანადაფინანსების სახით საბიუჯეტო სახსრებით გახარჯულია 7,5 ათასი ლარი (საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დიკუმენტების მოსაწესრიგებლად).

სოფლის მხარდამჭერი პროგრამის 2022 წლის ბიუჯეტი განსაზღვრულია 1 200,7 ათასი ლარი, აქედან მიმდინარე წელს მუნიციპალიტს გამოეყო 890, 0 ათ. ლარი, , ხოლო 310,7 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით არის გათვალისწინებული. ცხრა თვეში დაგეგმილი 1 200,7 ათასი ლარიდან ვალდებულება აღებულია 1 178,9 ათ. ლარზე, ფაქტიურად კი უკვე გაწეულია 914,7 ათასი ლარის ხარჯი დაფინანსებულია 76,2 % -ით.

დასუფთავება და გარემოს დაცვაზე ცხრა თვეში დაგეგმილი 1 078,8 ათასი ლარიდან დახარჯულია 987,7 ათ. ლარი, 91.6 %. მ. შ დასუფთავებისა და ნარჩენების გატანაზე 915,1 ათასი ლარიდან 840,2 ათასი ლარი; მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე 150,7 ათასი ლარიდან 147,7 ათასი ლარი; განათლებაზე 2022 წლის ცხრა თვეში გათვალისწინებული 2 863,6 ათასი ლარიდან დახარჯულია 2 665,0 ათასი ლარი და დაფინანსებულია 93,1%. განათლების დაფინანსებაზე მიმდინარე წლის ცხრა თვეში გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაწეულია 886,9 ათასი ლარით მეტი ხარჯი. გასული წლის ცხრა თვეში განათლებას მოხმარდა 1 778,1 ათასი ლარი; განათლების

ხარჯების გაზრდა ძირითადად გამოწვეული სკოლამდელი დაწესებულებებისა და მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხარჯების გაზრდით.

სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირებაზე დახარჯულია 1 209,7 ათასი ლარი;

სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობაზე 612,1 ათასი ლარიდან დახარჯულია 599,6 ათასი ლარი. მ.შ 2021 წლის N 1419 განკარგულებით დახარჯულია 582,1 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა სოფ. ხუნევის საბავშვო ბაღის მშენებლობას, ხოლო საბიუჯეტო სახსრებით გახარჯულია 11,9 ათასი ლარი მონიტორინგისათვის.

მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურებაზე 544,8 ათ. ლარი;

სკოლების რეაბილიტაციაზე 2022 წელს გათვალისწინებული სახელმწიფო ფონდებიდან. 124,0 ათასი ლარიდან გადარიცხულია 120,8 ათასი ლარი, განხორციელდა გედსამანიის, ხევის და ხუნევის სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაცია, ასევე სარგვეშის სკოლაში მოეწყო ელ. გაყვანილობის სისტემა და დაფინანსდა სკოლების რეაბილიტაციის პროექტირებაზე გაწეული ხარჯები.

ზოგადი განათლების ხელშეწყობაზე (ინტერნატი) გაწეულია 73,6 ათასი ლარის ხარჯი.

სკოლისგარეშე განათლების ხელშეწყობაზე 116,5 ათასი ლარი.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტზე დაგეგმილი 1 319,4 ათასი ლარიდან დახარჯულია 1 211,1 ათასი ლარი და დაფინანსებულია 91,8 %. გასულ წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მთლიანობაში მიმდინარე წელს აღნიშნულ პრიორიტეტის დაფინანსებას მოხმარდა 276,3 ათასი ლარით მეტი, გასული წლის ცხრა თვეში აღნიშნულ პროგრამაზე დახარჯული იყო 934,8 ათასი ლარი. სპორტის განვითარებას მიმდინარე წლის ცხრა თვეში მოხმარდა 367,6 ათასი ლარი, მ.შ.

სპორტული ღონისძიებების დაფინანსებაზე დახარჯულია 6,0 ათასი ლარი; სპორტისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობაზე 355,9 ათასი ლარი; სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა 5,7 ათასი ლარი;

კულტურის სფეროს განვითარებაზე დაგეგმილი 796,5 ათასი ლარიდან დახარჯულია 753,2 ათასი ლარი და დაფინანსებულია 94,6 პროცენტით, აქედან: სახელოვნებო განათლების ხელშეწყობაზე დაიხარჯა 118,8 ათასი ლარი. კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობაზე 613,0 ათასი ლარი; ფოლკლორის ხელშეწყობის დაფინანსებაზე 15,5 ათასი ლარი; კულტურული ღონისძიებების დაფინანსებაზე 5,9 ათასი ლარი; მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების პროგრამაზე 52,2 ათასი ლარი; რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობაზე გადარიცხულია 30,0 ათასი ლარი; ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაზე 8,1 ათასი ლარი;

ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფის პროგრამაზე მიმდინარე წლის ცხრა თვეში დაგეგმილი 1 454,7 ათასი ლარიდან დაიხარჯა 1 335,1 ათასი ლარი და დაფინანსებულია 91,8 % -

ით. აღნიშნული პრიორიტეტით მიმდინარე წელს გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 375,2 ათასი ლარით მეტია გაწეული, 2021 წლის ცხრა თვეში 959,9 ათასი ლარი იქნა გაწეული.

აქედან:

საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაზე დაგეგმილი 156,5 ათასი ლარიდან დახარჯულია 146,2 ათასი ლარი, მ. შ. 62,9 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერით, ხოლო 83,2 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით.

